ეროვნული ბიბლიოთეკა

572
1985

ᲠᲘᲠᲔᲯ

572
69

ISSN 0132-1986

1985 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ნაძვის ხე



572
1985

ბიბი ძნელაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვიდობა თქვენდა!

17973

რა დილა გათენდა,
ჰოი, სიხარულო,—
ახალი წელია,
ახალი წელია!..
რამდენი ხანია,
რამდენი ხანია,
თქვენთვის არაფერი
არ დამიწერია!..
თქვენთვის—მალხაზებო!
თქვენთვის—საყვარლებო!
ზღვა გრძნობა
გადმომაქვს ქაღალდზე...
დიდი საქართველოს
იმედს და მომავალს—
გილოცავთ,
გილოცავთ ახალ წელს!..
ყველაზე ნაღდი და ხალასი,
რასაც კი უყურებთ გარშემო,
ეს ცა და ეს მიწა ლამაზი,
თქვენია, თქვენია ბავშვებო!
ჩვენ რასაც ვქმნით და ვაშენებთ,
რაც უნდა შევქმნათ და ვაშენოთ,—
თქვენთვის—საყვარელო ბავშვებო!
თქვენთვის—საყვარელო ბავშვებო!
ჩვენი საშობლო—მამულის
დამამშვენებელნო და დამშვენნო,
თქვენ გაგიმარჯოთ, ბავშვებო!
მშვიდობა თქვენდა, ბავშვებო!
აღსავლით,
დასავლით,
სამხრეთს
და ჩრდილოსაც—
ბედნიერ ახალ წელს
გილოცავთ!
გილოცავთ!..

მხატვარი ნანა ჭურღულია

სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე ლამაზი ნაძვის ხე

თენგიზ ჩალაური

მხატვარი ლალი ლომთაძე

„ბავშვს ჰკითხეს, რატომ ტირიო,—გამდის და ვტირიო“.

ეს ანდაზა ნატომ კარგად იცოდა და როცა სჭირდებოდა, კარგადაც იყენებდა. ამიტომაც იყო, დილიდან რომ იჭაჭებოდა და ცრემლებს აღვარღვარებდა.

დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა და საღღესასწაულოდ დიდ ტორტს აცხობდა. ბებია საცივისათვის საკმაზს ამზადებდა, პატარა ძამიკოს ჯერაც ეძინა, ხოლო მამა სარდაფში საქმიანობდა.

იმ ღამით ახალი წელი უნდა მობრძანებულიყო და ნატოსათვის არავის ეცალა.

მხოლოდ ბაბუა შესცქეროდა გულაჩუყებული, მალიმალ თავზე ხელს უსვამდა და მის დაწყნარებას ლამობდა.

— ნუ ტირი, ჩემო კუდრაჭავ,—ეხვეწებოდა,—ნახე, რა კარგი სათამაშოები მოგიტანე, მოდი, დავათვალიეროთ და შევარჩიოთ.

— არ მინდა,—ჭირვეულობდა ნატო,—არ დამანახო!

— რატომ, გენაცვალოს ბაბუ, რატომ?

— ნაძვის ხე არა მაქვს და იმიტომ, სათამაშოებით რა მოვრთო?

გიორგი ბაბუა სკამს იმარჯვებდა, რომ კარადის თავიდან ასაწყობი ნაძვის ხე გადმოეღო.

— არ გადმოიღო,—ანჩხლობდა ნატო,—მე ნამდვილი ნაძვი მინდა, ტყეში რომ იზრდება ისეთი!

ბაბუა მსახიობივით შლიდა ხელებს, „რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდეო,“—ეგეთები რო არ იყიდება, ჩემო იმედო,—უხსნიდა,—რამდენი ხანია ცოცხალი ხეების მოჭრა აკრძალეს.

მაგრამ შეაყარეთ კედელს ცერცვი! ნატოსთან არაფერი ჭრიდა, არც დაყვავება, არც ახსნა-განმარტება და აღარც დატუქსვა.

„ნამდვილი ნაძვი მინდაო“. გაიძახოდა ჯიუტად.

დაბინდებისას მთელი ოჯახი სუფრას აწყობდა. მეზობლებსაც ელოდნენ, ახალ წელს ერთობლივად უნდა შეხვედროდნენ. მეკვლედ ნატო ჰყავდათ შერჩეული, მაგრამ აცრემლებული მეკვლე ვინმეს თუ გაუგია?

— აღარ შემიძლია ამის ტირილის მოსმენა,—თქვა ბოლოს ბაბუამ და აივნიდან პატარა ცული შემოიტანა,—რაც მოსახდენია, მოხდეს. თუ დამიჭერენ, დამიჭირონ და ეგ იქნება.

— რას აპირებ, ადამიანო?—შეშინდა ბებია,—ხომ არ გადაირიე ამ სიბერის დროს?!

— მოვჭრი ერთ პატარა ნაძვს ბაღში, არაფერი დაშავდება.—დაბეჯითებით თქვა გიორგი ბაბუამ და პალტოს ჩაცმა დაიწყო.

ნატომ ცრემლები ამოიმშრალა, სასწრაფოდ თპილი ჩექმები ჩაიცვა და ქურქს ხელი დასტაცა.

— მეც წამოგყვები,—გახარებული ამოუდგა გვერდში,—ნაძვსაც მე შევარჩევ, კოხტასა და ლამაზს.

გიორგი პაპა და ნატო კიბეებზე დაეშვნენ და ქუჩაში გავიდნენ.

ტროტუარს იქით პატარა ბაღი იყო. მის სიღრმეში დიდი და მაღალი ვერხვები იდგნენ, განაპირა მხარეს კი გაზაფხულზე სათუთად ჩარგული პატარა ნაძვები ჩამწკრივებულიყვნენ.

ბაბუამ და შვილიშვილმა ქუჩა გადაჭრეს და ბაღში ფეხაკრეფით შეიპარნენ, მიიხედ-მოიხედეს. კაცის ჭაჭანება არ იყო.

— აი ეს,—ჩურჩულით თქვა ნატომ და თითით მიანიშნა,—ნახე, რა კოპწიაა!

გიორგი ბაბუამ დანანებით ამოიოხრა, ნაძვს გულნატკენმა შეავლო თვალი, პალტო გაიხადა, და ვიდრე ნაჯახს დაჰკრავდა, ნატოს უთხრა:—რა ლამაზია, ხედავ? ნუთუ არ გეცოდება?!

— მოჭერი, ბაბუ, ჩქარა მოჭერი,—აღტაცებისა და მოუთმენლობისაგან ასკინკილით ხტუნვას მოჰყვა ნატო,—ყველაზე ლამაზი ნაძვის ხე მექნება, კენწეროზე საუკეთესო ვარსკვლავს დავადგამ!

მოხუცმა უხალისოდ მოიქნია ცული და, როგორც გამოუცდელ ადამიანებს ხშირად ემართებათ, პირველ მოქნევაზე პირი აუცდა და პატარა ხეს ნაჯახის ტარი-ღა შემოაკარა.

ნაძვმა ყრუდ, ადამიანივით შეშინებულმა დაიკვნესა.

— რას შვრებით,—მოულოდნელად გაისმა ვიღაცის შეშფოთებული ხმა,—რას სჩადიხართ!

გიორგი ბაბუა და ნატო ადგილზე გაშეშდნენ.

ბაღის სიღრმიდან მათკენ რაღაც ლანდი დაიძრა და სულ მალე შავთავსაფრიანი ხანდაზმული ქალი გამოჩნდა.

— რატომ არ გრცხვენიათ,—საყვედურით თქვა და პატარა ნაძვს ბავშვივით ხელი შემოხვია,—რა დაგიშავათ?

გიორგი ბაბუას ჭირის ოფლმა დაასხა, სიკვდილი ინატრა.

— რა ვქნა, ქალბატონო,—უხერხულად იმართლა თავი,—დილიდან ტირის, გულს იხეთქავს. შვილიშვილს ხომ არ ვანაცვალებ ერთ ხეს.

შავთავსაფრიანმა ქალმა კუშტად შეხედა და ახლა ნატოს შემოუბრუნდა:

— იცი, რამდენი ბავშვი ცხოვრობს ჩვენს ქვეყანაში?—ჰკითხა და თვალებში ჩააცქერდა.

ნატომ თავი ჩაქინდრა. არცოდნის ნიშნად მხრები შეარხია და აიწურა.

— ას მილიონზე მეტი. თუ ხვდები, ყველას რომ შენსავით საახალწლოდ ნაძვის ხე მოუჭრან, რა მოხდება? ტყეები გაიჩეხება, მთები მოტიტვლდება, მდინარეები დაშრება, უთავშესაფროდ დარჩებიან შვლები, ირმები, კურდღლები და ტყის ბინადრები... კიდევ რამდენი რამ...

— მაპატიე, ბებია,—დარცხვენილმა სთხოვა ნატომ,—მეტს აღარ ვიზამ, აღარასოდეს... აღარასოდეს...

ასე დასრულდა იმღამინდელი ამბავი.

ახლა, საზამთრო არდადეგები რომ ჩამთავრდა, სკოლაში მიმავალი თუ უკან დაბრუნებული ნატო კმაყოფილი უმზერს პატარა, ლამაზ ნაძვს, რომელიც თავის ოდნავი რხევით ესალმება ხოლმე მას; ნაძვის კენწეროზე კი ისეთი ვარსკვლავი კიაფობს, რომლის ბადალიც ამ ქვეყნად არსად იპოვება, და მას სიცოცხლის ვარსკვლავი ჰქვია.

საახალწლო
ოცნებანი
ავტორი
ვია ლიფაური
დაუჩქახე, მეზობელო, ზამთარი კარზე მობაგახი.
ესეც ასე, სასუნავიც დაბინავდა.
ვაშაა! თოვლი მოსულა!
ფახალ!!! ქაფაფი...
საღა ხარ, ჩიტო, ამდენი ხანი! დავავიწყდა ახალი წელი? ჩვენი ნაძვის ხე კი ჯერ არ მოგვიტანია.
ოხ, ოიგორ მშია!...
შენ ნაძვის ხე მოხიე, მე კი ახლავე მოვალ!
ჩიოხას საახალწლო საჩუქარს დავახვედრებ!
ზანგალური ეკვლენა
ოჰო, აქ თაგვნას გაუტანია!

ამ ტანსაცმელში წრუნის ნამდვილი თოვლის ბაბუა ვეგონები.
ეხლა წრუნის საჩუქარი!
აააა, ჩამიგაცდა ხელში!?
ვაი, ფელა!
ფრრრრრ
წრუნის ხმაა!
სულ ეცოცა, ფეხსაც წამიხვევ!
ვაიმ, ეს ყინვიანია!
ეს წრუნი ეს ვარ, ნუ ვეშინია!
ეს ჩალა მოჩვენებაა?!
ვაიმე, თოფიც ჭკონია!
ბუხ!!!
მომეცეს ამ ულმუსოებაა.
ბიჭი ხარ და ცოდვა მობეზეე!!!
ვაი, ვაი.
ეგეც შენი!
ფესტივალი

ვალენტინა ტატიშვილი

თოვლი მოვიდა

თოვლი მოვიდა! როგორც იქნა, მოვიდა. ახალი წლის წინა დღეებში ისე ბარდნიდა, ერთბაშად გადაათეთრა ყველაფერი. თრიალეთის ქედს ქათქათა საბანი წააფარა, სახლებს თეთრი ქუდები დააბურა; იმოჯენა ქალაქი თითქოს მიჩუმდა, მანქანებიც რბილად დასრიალებდნენ დათოვლილ ქუჩებში.

ადგა თუ არა დილით პატარა ვახუშტი, მაშინვე ფანჯარას მივარდა:

— თოვლი! თოვლი! შეხედე, დედე!

დედამ ფანჯრიდან გაიხედა და თქვა:

— რამოდენა დაუდვია!

— ასეთი თოვლი ჯერ არ მინახავს. არცა ყოფილა, არა?

— შენსობას არა, მაგრამ ჩემს ბავშვობაში მახსოვს დიდთოვლობა. სოფელში კიბეებს აკეთებდნენ, რომ ზედაპირზე ასულიყვნენ.

— უჰ, ბიჭო, რა იქნებოდა!—ვახუშტი დაფიქრდა და დაუმატა:—მერე, რომ ჩაფლულიყვნენ!

— ზემოთ ძალიან მოყინული იყო.

— ნეტა, ახალ წელსაც ასეთი თოვლი იყოს!

— ახლა თოვლის პაპა უკვე საჩუქრებს ამზადებს, მერე გადმოვიღის აი იმ მთას და ჩამოგირიგებთ ნაძვის ხეებსა და საჩუქრებს.

— ნეტა საიდან მოდის, ჰა?

— აკი გითხარი, კოჯრის ტყიდან-მეთქი.

— მერე იმდენ ნაძვის ხეს და სათამაშოებს როგორ წამოიღებს?

— ერთი დიდი ციგა აქვს. მხეცებიც ეშვეღებიან: ირმები, მელიები, ტურები, კურდღლები, ვისაც ზამთარში არა სძინავს.

— დათვს სძინავს, თორემ ის წამოიკიდებდა ყველაფერს ზურგზე. ნეტა მანქანა მომიტანოს! მანქანა ვახუშტის დიდი ხნის ნატვრა იყო.

— დიდე, შენ რომ მითხარი, ჩიტებს ამბავი მიაქვთ, ვინ როგორ იქცევაო, სად ამახსოვრდება მერე ამდენი ბავშვის ამბავი თოვლის პაპას?

— დახსომება რად უნდა, ორი დავთარი აქვს—ცისფერი და ვარდისფერი, იქ იწერს. ცისფერში იმათა სწერს, ვინც ცუდად იქცევა, ვარდისფერში იმათ, ვინც კარგად იქცევა.

— რა ენატანიები ყოფილან ეს ჩიტები, მაგათ ვაჩვენებ სეირს!

— არ გეცოდებიან? ნახე, რა მობუზულები არიან! არ გახსოვს, გუშინ რა ღექსი გასწავლე ლაბუაზე და ზამთარზე?

— როგორ არ მახსოვს!

დიდთოვლობაა, ბარდნის და ბარდნის,
სიჩუმე სუფევს, არ ისმის ჩქამი,
რა ქნას პატარა ლაბუა ჩიტმა,
რითი ირჩინოს ზამთარში თავი?

ჩვენ მივეხმარებით, არა, დიდე? ყოველდღე დავუყაროთ საკენკი.

— დავუყაროთ. გახსოვდეს და თვითონ დაუყარე ხოლმე.

იმ დღეს პარკში წაიყვანეს პატარა ვახუშტი. ციგაც წაიღეს, ბევრი იციგავა, იგუნდავა და შინ დაღლილი დაბრუნდა. საღამოხანს დედას სთხოვა:

— დედა, ამაღამ არ დავიძინებ, რა!

— რათა?

— იქნებ თოვლის პაპა მოვიდეს და ვნახო.

— შენ დაწექი,—უთხრა დედამ,—დილი ოთახის კარს არ გამოვხურავ. ღია იქნება, და თუ მოვიდა, გაიგონებ.

— გავიგონებ, რო?

— როგორ არა, გაიგონებ.

— კარგი მაშინ.—დაეთანხმა ბიჭი, მაგრამ ლოგინში რომ შეაწვინეს, გადაწყვიტა, არ დავიძინებო.

დიდხანს იფხიზლა, მაგრამ მერე რული მოერია და უცებ...

ოთახი თეთრად აელვარდა, კარში თოვლის პაპა იდგა და ჩოხის კაღთებიდან თოვლს იბერტყავდა. მხარზე გადაკიდებული ხურჯინიდან ცისარტყელას ფერები იფრქვეოდა, ხელში ფუმფულა ნაძვი ეჭირა, ხის წვეროზე კი ჭრელი ღაბუა ჩიტი იჯდა; გვერდით მელა მოჰყებოდა და მანქანა მოჰქონდა.

შემოვიდნენ, ნაძვი დადგეს, ხურჯინს თავი მოხსნეს და ჩიტმა ფრთქიალ-ფრთქიალით ჩამოკიდა ნაძვზე ბრჭყვიალა სათამაშოები, ვერცხლისფერი ძაფები, ფერად-ფერადი ნათურები, მანქანაც იქვე დადგეს, შიგ ჩურჩხელებითა და ტკბილეულით სავსე პარკი ჩადეს. ჩიტი კი ისევ ხის წვეროზე შემოჯდა და გალობა დაიწყო.

თოვლის პაპამ წასვლა რომ დააპირა, მელა დაუცუცქდა წინ და ჰკითხა:

— ეს ბიჭი აკი ცისფერ დავთარში გეწერა?

— მეწერა, მაგრამ მარტო ერთი დანაშაული აქვს ჩადენილი...

— რა დააშავა?—აღარ მოეშვა მელა.

— კნუტი დაუთრევია კუდით. მტრედმა მომიტანა ამბავი, მაგრამ ეს ერთი ვაპატიოთ და მერე ვნახოთ,—გაიღიმა თოვლის პაპამ და უცებ...

ვახუშტი ცდილობს ადგეს, მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა, წვალობს, ცდილობს გაიღვიძოს, მაგრამ ვერ იღვიძებს. ბოლოს, თვალები რომ დააჭყიტა, უკვე გათენებული იყო. მაშინვე წამოხტა და დიდ ოთახში გავარდა ყვირილ-ყვირილით:

— ჩემი მანქანა! ჩემი მანქანა!

დედა გაოცებული შეჰყურებდა.

— ბიჭო, შენ რა იცი, რომ მანქანა მოგიტანა?

— ვიცი! წუხელ არ დავიძინე და ვნახე, როგორ მოვიდა თოვლის პაპა.

— ჰო-ო!—ესლა თქვა დედამ.

ვახუშტი მანქანაში ჩაჯდა, ფარები აანთო და წამოიძახა:

— დედა! ახლა ნუ გეშინია! სინათლე რომ ჩაგვიქრება, ფარებს ავანთებ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ლადო ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი დედა

— ბული-ბული!
ბული-ბული!—
ბიჭი— ბებოს სიხარული
კი არ ხუმრობს,
წიგნს კითხულობს.
ბებო უსმენს
გულისყურით,
— აი ია! აი თითი!
„კიდევ რაღას იტყვის ნუტა?“
უცებ კარი გაჭრიალდა,
შემოვიდა სახლში დედა,
ბიჭმა იქით გაიხედა
და შესძახა:—აი დედა!

გიორგი ჟიჟინაძე

მზიას იხვი

მზე ჰირს იბანს ფანჯრის მიღმა,
მოიწყინა სახლში იხვმა.
ზის და ცრემლებს აღვარღვარებს:
— გამიშვითო, ჩქარა, გარეთ!—
რა შეუხნდა ამისთანა?
— მეც შინდაო ჰირის ბანა!
განა მარტო ჰირის ბანა?
ტანის ბანაც... მზიამ უთხრა:
აბეზარავ, აგურ არ გვაქვს აბაზანა!
შეგისრულებ სურვილს მალე,
ჩაგსვამ შიგ და იჯუმპალე.
აი, ონკანს ჩავრთავ ხელად,
და დაიწყებს შხაპი შხაპუნს,
რას ისურვებ, ქათქათელა
საპონსა თუ ფერად შამპუნს?
მაიწყინდე ეგ ცრემლები
და დამშვიდდი, ნუღარ ოხრავ.
შე სულელო, ვედარ ხედები,
სათამაშო იხვი რომ ხარ?

ახალი წლის ღილა

ახალ ბინაში ახალმა
საათმა ლაღად დარეკა.
ახალი წელი ახარა
ბაბამ ლეგანს და მარიკას:
— აბა, წამოხტით, ცელქებო,
და ისე შეხვდით ალიონს.
ახალ წელს არ დაგბეზებოთ
ლოგინში ქოტრიალითო!

თოვლის ქალაქში

ბაბიკომ და ლევანმა
გაიხარეს ამ დილით,
მოიარეს ქალაქი
თეთრად გადაბარდნილი.
მაშას თოვლი ასეთი
ნანახი აქვს უწინაც.
დღეს კი ლევანს თვალები
სიხარულით უბრწყინავს.
— აბა, სად ვართ, თუ იცი?—
ჰკითხა უცებ მაშამ შვილს.
ბიჭმა დინჯად მიუგო:
— სად და, თოვლის ქალაქში!
ბრწყინავს თოვლის ქალაქი
თვალსა და გულს ახარებს.

ლევანიკო ხელს უქნევს
სახლებს, ხეებს, მანქანებს...
ხან მაღლა მოუარფატე
თოვლის ჰაჰლებს შეჰეურებს,
ხან—ჭადრებზე შეეშეკულ
ფრთებდაფიფქულ ბელურებს.
თოვლისაა თითქოსდა
ირგვლივ სუფეელაფერი,
მაშა-შვილი ხიცილით
მიჰეგებიან ქვაფენილს.
— იცი, მამი,—ლევანი
თოვლში ლაღად მიხტუნავს,—
— შენ ხარ თოვლის ბაბუა,
მე კი თოვლის ბიჭუნა.

ძმაკაცები

გაიბუტნენ ძმაკაცები—
ბროლია და ლევანიკო.
ერთმანეთს ხმას აღარ სცემენ,
რა ვქნა, როგორ შევარიგო?
— რაც ისურვე,—ბურთი ბრძანებს,—
აგისდება, ძმაო, უცებ,
ჩემ-იან ერთად მაგ ონავრებს
ეზ-ეში თუ ჩამოუშვებ.

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ შეაშინა პაპამ დათვი

ლადო მრელაშვილი

ზაფხულობით სოფელში ჩავდივართ ხოლმე. იქ უფრო გრილა, ვიდრე ქალაქში. სოფელს ერთ მხარეს მთები აკრავს, მეორე მხარეს დიდი მდინარე — ალაზანი ჩამოუდის, ბებია და ჩემი ტოლი ბიძაშვილები ათას რამეს მიამბობენ სოფელზე, მაგრამ ყველაზე მეტად პაპაჩემის მონაყოლი მიყვარს თავის მწყემსობაზე. პაპაჩემი ლევანა ჩემი ტოლი ყოფილა, როცა პირველად ცხვარში წაუყვანიათ, და მას შემდეგ მეცხვარეობს.

ზაფხული ისე არ გავა, ერთხელ მაინც არ ჩამოვიდეს მთიდან შინ და არ გაგვახაროს. დაგვისხამს მუხლის ძირში მე და ჩემს ბიძაშვილებს და ისეთ რამეებს გვიყვება, ზღაპარი იმასთან მონაგონია.

წელსაც ჩამოვიდა თუ არა, მოსაღამოვებულს, ეზოში, დიდი კაკლის ძირში წამოწვა. ჩვენ, რა თქმა უნდა, მაშინვე გვერდით მივუსხედით. დედამ დასაძინებლად დაგვიძახა მე და ჩემს უფროს დას ნათიას, მაგრამ ჩვენ შევეხვეწეთ: პაპას ნადირობაზე რამეს მოვაყოლინებთ და მერე მოვალთ-თქო.

პაპამ გაიცინა და გვითხრა:

— ეე, ბალღებო, ბალღებო, რა კარგ დროს შეესწარით, რომ დედა ეგრე გეხვეწებათ, ქათმებივით ადრე დაიბუდრეთო. მე კი თქვენოდენა რომ ვიყავი, ცხვრის ფარას ვყარაულობდი ძაღლის მაგივრად.

ჩვენ ვერ გავიგეთ, ძაღლის მაგივრად რად უნდა ეყარაულნა პაპას ცხვრისთვის და ვთხოვეთ, ეამბნა.

— აი, სწორეთ თქვენოდენა ვიქნებოდი, — თქვა პაპამ და ჩვენ გადმოგვხედა, — როცა ერთი მწყემსი ჩამოვიდა მთიდან და მამაჩემს უთხრა:

— შენმა ძმამ დამაბარა, დათვმა ძაღლი მომიკლა ქვით და ან შენ ამოდი, მომეხმარე, ან ახალი ძაღლი მიშოვე და ამომიყვანეო.

ჩვენ გაგვიკვირდა:

— დათვმა ქვით როგორ მოკლა, პაპავ? დათვს ხომ ხელები არა აქვს, რომ ქვა ისროლოს?

— როგორ არა აქვს, — გაიკვირვა პაპამ, — წინა თათები იმისი ხელებია, და ქვასაც, რომ იცოდეთ, თქვენზე კარგად ისვრის. მერე, პატარა ქვებს კი არა, ზოგ ისეთ ლოდს აიღებს და გაისვრის, ორი კაცი ადგილიდან ვერ დასძრავს.

ჩვენ გაოცებისაგან პირები დავაღეთ და ისევ შევეხვეწეთ:

— გვიამბე, პაპავ, გვიამბე!

— აკი გიყვებით. ჰოდა, უთხრა მამაჩემს იმ მთიდან ჩამოსულმა კაცმა: ან შენ ამოდი, მომეხმარე, სანამ ძაღლს ვიშოვნი, ან შენ თვითონ მიშოვნე ძაღლი და ამომიყვანეო.

ჩვენებური, მეცხვარული ძაღლის შოვნა ადვილი არ იყო, არა და, თურმე ის დათვი შეეჩვია ბიძაჩემის ფარას და ყოველ ღამე თითო ცხვარი მიჰყავდა.

მამაჩემმა მე წამიყვანა მთაში.

— აი ბალღი ამოგიყვანე, — უთხრა ბიძაჩემს, — მე თითონ დავრჩებოდი, მაგრამ ხვალ დილითვე უნდა ჩავიდე სოფელში, ომში მივდივარ.

მართლაც წავიდა მამაჩემი და იმ ომიდან აღარც დაბრუნებულა.

— მერე იმ ღამეს არ მოვიდა დათვი? — ვკითხეთ ჩვენ გატრუნულებმა.

— მოვიდა, მაშ! — დაგვიდასტურა პაპამ.

— წაიყვანა ცხვარი? — წამოვცუცქდით.

— წაიყვანა. — თავი დაიქნია პაპამ.

— მერე ვერ გაიგეთ? — ისევ შევეკითხეთ.

— გავიგეთ, როგორ არ გავიგეთ, ბევრიც ვიყვირეთ, თოფიც ვესროლეთ, მაგრამ მაინც წაიყვანა.

— ვერ მოჰკალით? — წამოვხტით ჩვენ ფეხზე.

— ვერა. ძალიან ბნელოდა და არაფერი ჩანდა. — თავი გაიქნია პაპამ.

— მერე, როცა მამაშენი შინ წავიდა, შენ მთაში დარჩი?

კვლავ შევეკითხეთ.

— დავრჩი, მაშ! აკი მაგისთვის ამიყვანა მთაში მამაჩემმა. — გვითხრა პაპამ.

— მერე იქ რომ დარჩი, დათვი აღარ მოსულა და აღარ წაუყვანია ცხვარი? — ისევ ვკითხეთ პაპას.

— მეორე ღამესაც მოვიდა და წაიყვანა ცხვარი. — თქვა პაპამ.

— როგორ, შენ იქ იყავი, ცხვარს ყარაულობდი და დათვი როგორ მოგეპარა? — გავიკვირვეთ ჩვენ, რადგან ჩვენი პაპა ყველაზე ღონიერი, ყველაზე ფხიზელი და ყველაზე ჭკვიანი კაცი გვეგონა.

— ეე, ბალღებო, მაშინაც ამოდენა კი არ დავდიოდი, — თქვენტოლა ვიყავი. ერთი ძველი მაზარა მქონდა, იმაში გავეხვეოდი და წამოვუწვებოდი ცხვარსა. ფარის თავში ბიძაჩემი იწვა, ბოლოში მე. მთაში ღამე ზაფხულობითაც ცივა. ჰოდა, როგორც კი ჩავთბებოდი იმ მაზარაში, მაშინვე ჩამეძინებოდა. ჩამეძინებოდა და ისეთ ლამაზ სიზმრებში გადავვარდებოდი, გუნებაში ვამბობდი, ნეტავ აღარ გამაღვიძა-მეთქი. ის წყეული დათვიც ამით სარგებლობდა: შევიდოდა ფარაში, ჩემი მხრიდან, აიყვანდა ერთ ცხვარს, ან გვერდზე გამივლიდა, ან ზედ გადამაბოტებდა და მიჰყავდა ცხვარი.

— სულ ვერ იგებდი? — გავიოცეთ ჩვენ. — იმოდენა დათვი ზედ გადაგაბოტებდა და ვერ იგებდი?

— ვერა, მეძინა ხოლმე. — თქვა პაპამ.

— რატომ მოდიოდა შენთან, რატომ ბიძაშენთან არ მიდიოდა? — უმალ შევეკითხეთ.

— დათვი ძალიან ჭკვიანი და ეშმაკი ნადირია. იმან იცოდა, რომ ბიძაჩემი დიდი იყო, გამოცდილი მწყემსი. იქიდან ადვილად ვერ მიეპარებოდა. მე კი პატარა ვიყავი, გამოუცდელი ბალღი და ადვილი მოსატყუე-

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

ბელი. — გვითხრა პაპამ.

— ყოველ ღამე მიჰყავდა? — არ გვინდოდა დაგვეჯერებინა პაპაჩვენის მძინარობა.

— ყოველღამე მიჰყავდა. — დაგვიდასტურა ისევ პაპამ.

— როგორ, ზედ გადაგაბოტებდა ხოლმე და არ ეშინოდა შენი?

— ჰო, ზედ გადამაბოტებდა და არ ეშინოდა ჩემი. — გაეცინა პაპას.

— მაშ როგორღა შეაშინე და როგორღა მოხდა, რომ მერე აღარ ეკარებოდა ის დათვი თქვენს ფარას? — ისევ გავიკვირვეთ ჩვენ.

— როგორ და, ძალიან გაბრაზდა ბიძაჩემი. მითხრა: შენ მაგ მაზარაში ღუმელივით გთბილა, მთელი ღამე გემრიელად გძინავს და დათვმა კი ლამის ცხვარი გაგინა ხევროსო. ადგა, წამართვა ის მაზარა, ეთრი, რაღაც თეთრი, ბანჯღვლიანი ნაბდის ძველა გამომიძებნა და ის მომცა, — ეს დაიხურე ხოლმეო.

მე საღამოთი წავიხურე ის თეთრი ბანჯღვლიანი ნაბდის ძველა და წამოვუწექი ცხვარს ბოლოში. რაკი მაზარა აღარა მქონდა, სიცივემ ამიტანა და აღარ დამეძინა.

ჩუმი განუწყვეტელი ცოხნის ხმა მოდიოდა ცხვრებისა.

ხევში წყლის ჩხრიალი ისმოდა.

სადღაც ბუ გაჰკიოდა.

საიდანღაც ყრუდ აღწევდა ჩემამდე ვიღაცის ბურდღუნი.

შიშმა ამიტანა. ჩუმად ავდექი, შევედი ფარაში და ცხვრებს შუა ჩავწექი. მჭიდროდ გავეხვიე იმ თეთრ, ბანჯღვლიან ნაბდის ძველაში და გავიტრუნე.

კარგა ხნის შემდეგ სითბო ვიგრძენი. არ ვიცი ნაბდის ძველამ გამათბო თუ ცხვრების სიახლოვემ, ტკბილად ჩამეძინა.

სიზმარში მამაჩემი მოვიდა. დამავლო ორივე ხელი და დიდი ხნის უნახავმა გულზე ისე მიმიხუტა, კინაღამ გამჭყუნა.

მე, როგორც იყო, სული მოვითქვი და ნაბდიდან თავი გამოვყავი. გულის ამრევმა სიმყრალემა და სიმხურვალემ ლამის დამბნიდა. იმავე წამს თვალი გავახილე და ცხვირწინ რომ ავად მოჩახჩახე ორი ნაკვერჩხალი და გოჯნახევრიანი ეშვები დავინახე, „ვაიო!“ იმოდენა ვიღრიალე, ჩემი ხმა ალბათ ალაზნის სათავემდის მიაღწევდა.

„ვუაო!“ იღრიალა დათვმა ცალკე და ხელიდან გამაგდო.

მე აქეთ გამოვიქეცი გულგახეთქილი, — ის იქით გაიქცა თავქუდმოგლეჯილი.

— ნუ გეშინიან, აქა ვარო, — იბღავლა ფარის თავში ბიძაჩემმაც და თოფიც დაცალა.

როცა სამშვიდობოს გავედი და ბიძაჩემს ვუთხარი რაც მოხდა, ის თეთრი ბანჯღვლიანი ნაბდის ძველა ჩემთვის მეტად აღარ დაუხურნია. „სულ ამის ბრალია, ამ თეთრ ბანჯღვლებში დათვს ცხვარი ეგონე და იმიტომ დაგტაცა ხელიო“.

მას მერე აღარც ფარაში შევსულვარ და აღარც ცხვრებთან დამიძინია. წამოვიხურავდი იმ ჩემს მაზარას და მივწვებოდი ისევ ფარის ბოლოში. მივწვებოდი, მაგრამ სიფხიზლე კი დამჩემდა: ძალიან მეშინოდა დათვის ხელახალი გამოჩენისა. მაგრამ მთელი ზაფხული ისე გავიდა, ის დათვი აღარ მოსულა. ეტყობა, ძალიან შევაშინე იმ ღამეს, ცხვრის მაგიერ მე რომ შევრჩი ხელში.



გივი გეგეჭკორი

ბავშვებო! ოპერის ბაღთან თქვენ მრავალჯერ გინახავთ დიდი ქართველი მწერლის აკაკი წერეთლის ბიუსტი. იგი ცნობილი ქართველი მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ნახელავია. იაკობ ნიკოლაძე სახელოვანი ფრანგი მოქანდაკის ოგიუსტ როდენის მოწაფე იყო და ამ საუკუნის დასაწყისში მის სახელოსნოში მუშაობდა პარიზში. აქ შექმნა და ჩამოასხა მან ქალის ფიგურა, რომელიც „მწუხარე საქართველოს" სახელით არის ცნობილი და მთაწმინდის პანთეონში ილია ჭავჭავაძის საფლავს დაჰყურებს.

1915 წელს, აკაკი წერეთელი რომ გარდაიცვალა, იაკობ ნიკოლაძეს მისი სახის ნიღაბი აუღია. ამავე წელს ქვაში გამოუქანდაკებია ის ბიუსტიც, ოპერის ბაღში რომ დგას. ხანდაზმულ აკაკის მკერდი გაშიშვლებული აქვს, შუბლი—მაღალი და ფართოდ გაშლილი, ხოლო დიდრონი თვალებით, დაბერილი ქუთუთოები რომ გადმოჰფარებია, ზევით, მთაწმინდისაკენ იმზირება, სადაც ქართველი ერის სხვა სათაყვანებელ შვილებთან ერთად თავად აკაკიც განისვენებს.

ხუტა ბერულავა—60

გზაკეთილი

იდგა დიდი სამამულო ომის პირველი წელი—1941. გაზეთებს ყოველდღიურად მოჰქონდათ მძიმე ბრძოლების, ამ ბრძოლებში დაღუპულთა გმირული თავგანწირვის ამბები. და აი ერთხელაც გაზეთებით შევიტყვეთ, თუ როგორ შეაკვდა მტერს ერთად ორი ძმობილი, რუსი და ქართველი—მიშაკოვი და შალამბერიძე. სულ მალე გამოქვეყნდა მათი გმირობით შთაგონებული ლექსი „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო, შალამბერიძე“, რომელსაც ხელს აწერდა ქართულ ლიტერატურაში მაშინ სრულიად უცნობი ხუტა ბერულავა. იმ დროს იგი სულ 17 წლის ჰაბუკი იყო.

ფრონტულ ცაში თუ მიწაზე ქრებოდა მრავალი ლამაზი სიცოცხლე, და ახალგაზრდა პოეტის გულში ზარივით რეკავდა ტკივილი:

„თბილისს მოვიდა ამბავი:
დაიწვა გული მზიანი,
ვარსკვლავეთს მოსწყდა
ვარსკვლავი
ჰიჰიკო ბენდელიანი“.

ომი რომ დამთავრდა, იმ დროისათვის ხუტა ბერულავას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ლექსების პირველი კრებული. მას შემდეგ 40 წელია გასული, მაგრამ ხუტა ბერულავა ისევ ახალგაზრდული გზნებით მუშაობს. რამდენი მშვენიერი ლექსი და პოემა გამოსულა მისი კალმიდან: განა შეიძლება დააკიწყდეს კაცს „ეპიტაფია სვეტიცხოვლის აღმშენებლისა“ ან „ამბავი თბილისის დაბადებისა“, ანდა „აჩიტა და ბაჩიტა“, „მზეონას სიმღერები“, „მეტიჩარა მამლაყინწას ამბავი“, „ჯიუტი გიგას იგავი,“ რომლებიც ასეთი სიყვარულით დაუწერა მან პატარებს. მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ხუტა ბერულავა გამომცემლობებს „ნაკადულსა“ და „განათლებას“, და მისი ღვაწლი ამ სარბიელზე ჭეშმარიტად საშვილიშვილოა — რამდენი მშვენიერი საბავშვო წიგნი გამოაქვეყნა მის დროს „ნაკადულმა“ — ძველი ლიტერატურის შედევრები თუ ნიჭიერი ახალგაზრდების პირველი სათქმელი ბავშვებისადმი... როგორ გაუმჯობესდა სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე „განათლებაში“ მისი დირექტორობის დროს.

დღეს ხუტა ბერულავა საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის თავმჯდომარეა.

კეთილი მეგზურობა გაუწია მან ქართველ ბავშვებს ლიტერატურის სამყაროში და ჩვენ ვისურვებდით, მისებური ენერგია არ მოჰკლებოდეს არავის, ვინც საბავშვო ლიტერატურას ემსახურება.

გზაკეთილი მას.

მზეონა

ხუტა ბერულავა

ბაწაწინა გოგონაა,
ზარნიშიან აკვანში წევს,
სალამოჟამს მოსულ მამას
გაახარებს, დააშვიდებს.
სულ ტიკტიკებს, სულ ჭიკჭიკებს,
არტახებში ვერ ისვენებს,
წამოფრენას დაუბირებს,
როცა იგრძნობს დედის ხელებს.
სათამაშოს არ კადრულობს
და დაჭყურებს წიგნებს დიდხანს,
მეგობრებო, მალე იგი
ჩვენს „დილასაც“ წაიკითხავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17. 9.23

ახალი წელი მოვიდა

ახალი წელი მოვიდა,—
ქვეყნად ღრუბელი არ იყოს!
გილოცავ, ჩემო დედიკო,
გილოცავ, ჩემო მამიკო.
ახალი წელი მოვიდა
და სიხარული გვაჩუქა.
გილოცავ, ჩემო ბებუკა,
გილოცავ, ჩემო ბაბუკა!
ახალი წელი მოვიდა,
მოადგა სკოლის დერეფანს,
ანანა მასწავლებელო,
გისურვებთ ბედნიერებას!
ახალი წელი მოვიდა
და ციმციმებენ ნაძვები.
ეველას გვიცოცხლოს მშობლები
და საყვარელი და-ძმები.
ახალი წელი მოვიდა—
დიდი სიკეთის მსურველი.
სარობდეს დედა-სამშობლო,
სულ მუდამ ჩვენზე მზრუნველი!

ნორჩ თაოგას

არა მარტო სიტყვა,
არა მარტო ლექსი,
არა მარტო ფიქრი
და ოცნების ფესვი;
არა მარტო გარჯა,
არა მარტო ნატვრა,
არა მარტო წიგნი,
რასაც ამ გულს ვატან,—
მე სიცოცხლე მთელი
მომიძღვნია შენთვის
და სიმღერაც ჩემი
შენს მომავალს ერთვის.
მოწმე არი, აგერ,
საქართველოს ზეცა;
ნაკადულის ხმაზე
მითრთოლია მეცა.
უმდიდრესი სიბრძნეც
წინაპართა ჩვენთა,
ვით საუნჯე ერის,
ამიკინძავს ერთად.
ამიკინძავს კრძალვით,
შენდა გასახარად...
მიცოცხლია შენით
და ვიცოცხლებ მარად!

მხატვარი თამურ ფხიკიძე

საქ. სსრ კ. მარ
სახ. სახ. რესპუბ
გიგლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეონარდო და ვინჩი

ვაზი და გლეხკაცი

ვაზი ბედნიერი შეჰხარობდა გლეხკაცს—გაზაფხულზე მიწა, რომ შემოუბარა, როგორ ფრთხილობდა, ბარი მის ნაზ ფესვებს არ გამოსდებოდა, რა სიყვარულით ევლებოდა თავს გამძლე ბიჯგებს უყენებდა და, რომ უფრო ლაღად გაზრდილიყო, ზედ ახვევდა.

და მადლიერმა ვაზმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ტკბილი, სურნელოვანი მტევნებით დაესაჩუქრებინა ადამიანი.

როცა ყურძნის კრეფის დრო დადგა, ვაზი ერთიანად მსხვილი მტევნებით იყო დახუნძლული. გულმოდგინე პატრონმა ერთიმეორის მიყოლებით დაკრიფა ისინი და ფრთხილად ჩააწყო გოდორში. შემდეგ დაფიქრდა, სარები და ბიჯგები ამოთხარა და შეშად გამოიყენა.

რაღა დარჩენოდა საწყალ ვაზს დაუმსახურებელ წყენაზე დარდის და მთელი ზამთარი შიშველ მიწაზე გაყინვის მეტი. შემდეგ წელს კი ისეთი გულუხვი აღარ აღმოჩნდა ის. წინდაუხედავ გლეხკაცს ძვირად დაუჯდა თავისი სიხარბე.

თარგმნა ქეთევან დუმბაძემ

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე



დილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამგოკაძე, ილია ანთელავა, მერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჰიჰინაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 12. 12. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 1. 85 წ., ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$. ფიზ. ნაბ. ფურცელი 2,5, ტირაჟი 166.000, შეკვეთა № 2823.

უდაზე ნახატი სოფიო კინწურაშვილისა

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Объем 2,5 печатных листа, тираж 163000. Заказ № 2823.

ბიდეკი 76000

იუმორი

მხატვარი ედუარდ ამგოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივ ზამთარი ყასახლაარიდ
- სიცივეში გავატარე...

6 82/28